მახვილი და კალამი: ჟანა დ'არკი და კრისტინ დე პიზა - ფემინისტური ხმის დაბადება შუა საუკუნეების საფრანგეთში

რატი ჩალაური

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რომანული ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მიმართულება: რომანული ფილოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიეტა ჩიხლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025.

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

რატი ჩალაური

19.06.2025.

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს თუ როგორ ხდება ქალი ისტორიული ფიგურის კოლექტიურ და კულტურულ მეხსიერებაში ინტეგრირება და რა როლი აქვს ამ პროცესში ქალი ავტორის მიერ დაწერილ ლიტერატურულ ნაწარმოებს, ფრანგი ეროვნული გმირის ჟანა დ'არკისა და პირველ, ევროპელ ფემინისტ მწერალ ქალად აღიარებულ კრისტინ დე პიზას მაგალითებზე, რომლებიც განხილულია კოლექტიური და კულტურული მეხსიერებისა და ფემინისტური კვლევების ჭრილში.

ნაშრომში წარმოჩენილია ჟანა დ'არკის ფიგურის ინტერპრეტაციის ცვლა ეპოქათა კვალდაკვალ, ისევე როგორც კრისტინ დე პიზას ფემინისტური ხმით დაწერილი პოლიტიკური და სოციალური ხასიათის ნაშრომები, რომელთაგან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „ჟანა დ'არკის პოემა"-ს (*Le Ditié de Jehanne d'Arc*), რომლის ჩემ მიერ ფრანგული ენიდან ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანი ნაშრომშია წარმოდგენილი.

კვლევა ინტერდისციპლინარული ხასიათისაა, ვინაიდან ეფუძნება კულტურული კვლევების თეორიებს, ისევე როგორც ფრანგული ფემინიზმის ტექსტებსა და მის განვითარების პროცესზე დაკვირვებას, რათა, ჟანა დ'არკისა და კრისტინ დე პიზას მაგალითებზე, წარმომეჩინა ქალი ფიგურის კულტურულ მეხსიერებაში ინტეგრაციისა და ქალი ავტორის კულტურულ მეხსიერებაზე ზემოქმედების პროცესი შუა საუკუნეების საფრანგეთში.

კვლევისას წარმოჩინდა, რომ შუა საუკუნეების საფრანგეთში უკვე ისმოდა „ფემინისტ" ქალთა ხმა, - ახლო და მსგავსი თანამედროვე ფემინისტთა ხმისა, - რომელიც ცდილობდა მამაკაცებთან თანასწორი ადგილის დამკვიდრებას, როგორც ლიტერატურაში, ასევე პოლიტიკასა და ყოველდღიური ცხოვრების სოციალურ ასპექტებში.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: ჟანა დ'არკი, კრისტინ დე პიზა, კულტურული მეხსირება, ფრანგული ფემინიზმი.

Abstract

The given master's thesis aims to demonstrate how the histroic female figure is integrated into collective and cultural memory and what role does a literary work written by a female author play in this process. All these is demonstrated on the example of reserching French heroin Joan of Arc and Christin de Pizan, acclaimed as the first European feminist female writer, that are reviwed on the basis of collective and cultural memory as well as feminist research.

This work demonstrates the change in the interpretation of the figure of Joan of Arc throughout different timeframes, as well as Christin de Pizan's feminist political and social works, out of which, special attention is given to „The Tale of Joan of Arc" (*Le Ditié de Jehanne d'Arc*). My translation of the mentioned tale, from French to Georgian, is also presented in this thesis.

The method used in our research is of an interdisciplinary nature, since it is based on the cultural research theories, as well as the French feminist texts and observation of their development, on the example of Joan of Arc and Christin de Pizan, so that I would be able to demonstrate the proccess of integration of a female figure into the cultural memory and the proccess of the influence of a female writer on the cultural memory in mediavel France.

The research displayed that in Mediavel France there already were feminist voices (That were alike modern feminist voices) that were trying to earn a place equal to that of men in spaces like literature, politics and social aspects of everyday life.

Keywords: Joan of Arc, Christine de Pizan, Cultural Memory, French feminism.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ყველა ლექტორს საინტერესო ლექციებისა და მიღებული ცოდნისათვის, ასევე ყველა იმ ადამიანს, ვინც თუნდაც მცირე წვლილი შეიტანა მოცემული ნაშრომის შექმნაში.

განსაკუთრებულ მადლობას, აღნიშნულ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის საინტერესო, შრომატევად, გამოწვევებით აღსავსე და რაც მთავარია ნაყოფიერ პროცესში დახმარებისათვის, ვუხდი ჩემს ხელმძღვანელ, ქალბატონ მარიეტა ჩიხლაძეს, რომელიც დაუზარებლად მაძლევდა მითითებებს, შენიშვნებსა და რჩევებს, შედეგად კი მიწევდა ჩინებულ მეგზურობას კვლევის წარმოების პროცესში.